№ 23 იანვარი 31, კვირა

1893

იანვარი 31, კვირა № 23

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893

სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1893

## „ივერია"

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს.**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## რედაქციისაგან

შეიძლება დაკვეთა გაზეთისა 1 თებერვლიდამ წლის დამლევამდე, ფასი 9 მან. 50 კ. მსურველთ შეუძლიანთ ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.

ქართული თეატრი

კვირას, 31 იანვარს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილ იქნება უკანასკნელად ამ სეზონში

**სამშობლო**

ისტორ. დრ. 5 მოქმედ. თ. დ. ერისთავისა

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

ადმინისტრატორი კ. გუნია

სამშაბათს, 2 თებერვალს, სამუსიკო კრუჟოკის სადგურში გრიბოედოვის ქუჩაზე, სახალხო ქართულის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ გამართული იქნება სამუსიკო დრამატიული სალამო. პროგრამმა აფიშებში იქნება გამოცხადებული. დასაწყისი 8 საათზე. ბილეთები ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში და კრუჟოკში შვეიცართან.

რადგან 24 იანვარს დანიშნული საზოგადო წლიური კრება «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა» არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ, თანახმად საზოგადოების წესდების § 15-ისა, ხელ-ახლად დანიშნულია, კვირას, 31 იანვარს, დილის 11 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა, ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 სექტემბრიდგან 1891 წლისა 1 სექტემბრამდე 1892 წლისა; ბ, მოხსენება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ 1892—93 წლისათვის, და გ, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

სამშაბათს, 2 თებერვალს, დილის 11 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია მორიგი კრება

„სახლების აშენების ამხანაგობისა"

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) ანგარიში „ამხანაგობის მოქმედებისა წარსულ წელს,

2) არჩევანები გამგეობის წევრთა და 3) ახალ ამხანაგების არჩევანები.

კრებას შეუძლიანთ დაესწრნენ წევრნი და აგრეთვე ისინი, ვინც განაცხადებენ სურვილს წევრობისას და წარმოადგენენ საწევრო ფულს არა ნაკლებ ერთის თუმნისა.

(5—4)

### მოვალეობა ჩვენის თავად-აზნაურობისა

(კიდევ „Новое Обоз."-ესა და კახეთის რკინის გზის გამო).

ერთს სიტყვას კიდევ ვიტყვით და გავათავებთ.

ჩვენა ვფიქრობთ, რომ, რაცა ვსთქვით წინა წერილებში, იქიდამ ცხადად სჩანს, ვინ რა აზრი უნდა წაიმძღვაროს წინ ჩვენში და როგორ უნდა სცდილობდეს თავის მოვალეობის შესრულებას სამშობლო ქვეყნის წინაშე. თუ ჩვენს თავად-აზნაურობას უნდა კვლავ განაგრძოს თავისი არსებობა და ეჭიროს ხელში პირველობა, მთავარი ადგილი, ცხადია, რომ სამრეწველოდ აღძრულს ახალსა და ნორჩს ძალ-ღონეს მოთავეობა უნდა გაუწიოს, მძიმე სამრეწველო ურმის თავში თითონვე უნდა შეებას.

მხოლოდ ასეთი საქმე, ასეთის ტვირთის კისრად-ღება შესძენს თავად-აზნაურთა წოდებას ახალ ძალასა და ღონეს, გააცხოველებს და გადაახალისებს იმის—აბა რა დასამალია—გატეხილსა და დაუძლურებულს ჯანსა, იმის დაბერებულს წოდებრივს აგებულებას. თავად-აზნაურობამ უნდა იფიქროს არა წარსულ დროთა უფლება-უპირატესობათათვის, რომელთაც ვეღარავითარი ქვეყნიური ძალა ვეღარ დაუბრუნებს, არამედ იმ ახალ საზოგადო საქმეთათვის, რომელთა გაძღოლას დღევანდელი ჟამთა-ვითარება ავალებს თავად-აზნაურობას.

ხოლო ამ ახალ საქმეთა მიხვედრა, გაგება და გათვალისწინება და მერე გონიერი, სასარგებლო მოქმედება თავად-აზნაურობას მხოლოდ ინტელიგენციის შემწეობით შეუძლიან; იმ ინტელიგენციის შემწეობით, რომელშიაც წოდებას არავითარი ადგილი არა აქვს. ინტელიგენცია გონებაა ერისა. ამ მხრივ, სწორედ ამ თვისების მხრივ, იგი ინტელიგენცია არას გზით არ უნდა იყოს წოდებრივი, ცალ-კერძ მიმართული. ინტელიგენციის კრებულს უნდა ემატებოდნენ ყოველის წოდებისა და შეძლების ახალგაზდა განათლებული ყმაწვილი კაცნი. კარი მისი ყურთამდე ღია უნდა იყოს ნიჭისა, ღირსებისა და ცოდნისათვის, და არა გვარიშვილობისა და ჩამომავლობისათვის. ინტელიგენციის მოწოდებაა გადაიქცეს იმ კავშირად, რომელიც ჯაჭვის რგოლივით აერთებს ყოველს ცალკე ჯგუფს, ცალკე კრებულს, და მათს მოღვაწეობას მიჰმართავს ერთის სასურველის საგნისაკენ, ისეთის საგნისაკენ, რომელიც ერთნაირად ძვირფასია და სასარგებლო ყველასათვის.

აი ამიტომ გვგონია, რომ კახეთის გზის გაყვანა თავად-აზნაურთა ძალ-ღონით დიდად სასიამოვნო ამბავი იქნება ამ ჩვენს უფერულს ცხოვრებაში. როცა დიდი, სასარგებლო და ხეირის მომცემი საქმე თვითონ გეტანებათ; როცა ცხოვრება თვით გაძლევთ ხელში სამრეწველო განვითარებისა და წარმატების ღერძს, რომლის შემწეობითაც შეგიძლიანთ, თქვენის სურვილისამებრ, ატრიალოთ ესა თუ ის ჩარხი ცხოვრებისა,—სწორედ დიდი უკუნურება იქნება კაცმა ხელი არ მოჰკიდოს საქმეს, არ გაისარჯოს და უარს ამბობდეს მოსალოდნელ შრომასა და ხეირზედ; უგუნურება იქნება, თუ, რასაკვირველია, ბეჯითი და ზედ-მიწევნილი გამოკვლევა დაამტკიცებს, რომ წინამდებარე საქმე ყოვლად სახეირო და გამოსარჩომიაო.

ამას გარდა არ უნდა დავივიწყოთ ისიცა, რომ სამრეწველო საქმეთა წარმოება შეერთებულის ძალ-ღონით, ისეთი აუცილებელი და ყოვლად დიდი საჭიროებაა ამ ჟამად ჩვენში, რომ უმაგისოდ ხსნა აღარსადა აქვს ჩვენს ქვეყანას. ამ გვარად საქმეთა წარმოება ჩვენთვის სკოლა იქნება. ამ სკოლაში უნდა გამოიჯეკოს, გამოიწვრთოს ჩვენი ძალ-ღონე; ამისთანა სკოლაში უნდა გავვარჯიშდეთ და შევიძინოთ ის უნარი საქმიანობისა, ის შნო საქმეთა წარმოებისა, რომელსაც წარსულში სრულიად მოკლებულნი ვიყავით და რომელმაც უნდა მტკიცედ დაგვაყენოს ფეხზედ

### ახალი ამბავი

— ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოებას ძლიერ შესცოდებია გადაყენებული კანცლერი ბისმარკი: დალოცვილმა ვილჰელმმა სამსახურიდგან რად გადააყენაო და მიუმართავს, მოდი, ჩვენო ბისმარკო, ჩვენ საზოგადოების წევრად მიგიღებთო.

— როგორც მკითხველთ მოეხსენებათ, წელს ძლიერ სუსხიანი ზამთარია. ტფილისის შეძლებულ კაცებს ძლიერ შეეცოდა ღარიბი ხალხი, ხელის მოწერით შეუგროვებიათ 2 მან. და 67 კაპეიკი. ამ ფულით ნახევარ ურემი შეშა უყიდნიათ და ღარიბთათვის დაურიგებიათ: არ შეგცივდეთ და ავად არ გახდეთო.

— გორიდამ გვწერენ, რომ იქაურ დუქნებში, ეს ერთი კვირაა, სათამაშო ქაღალდი სრულიად გამოილია და ქალაქის საბჭოს ხმოსნები ძლიერ მოწყენილნი იყვნენ. ხუთშაბათს 28 იანვარს-კი ბედმა გაგვიღიმა. რკინის გზის მატარებლით მოგვივიდა 10 ვაგონი, სათამაშო ქაღალდით დატვირთული.

— სიღნაღიდამ გვწერენ: დეპუტატებმა გადასწყვიტეს, ქალაქი ელექტრო-

## ფელეტონი

„ზ უ რ ნ ა"

№ 1. № 1.

პატარა გაზეთი.

გამოვა მაშინ, როცა რედაქტორი ნომერს შეადგენს, „ივერია" ადგილს დაუთმობს და ცენზორი ნებას დართავს. თუ „ზურნა" დიდხანს არ გამოვიდა, მკითხველთა წინაშე ბოდიშს არ მოვითხოვთ, რადგანაც ჩვენს გაზეთში ფული არავისგან მიგვიღია და, მაშასადამე, არც უფლება აქვს ვისმე გვისაყვედუროს: „ზურნა" რად დაგვიგვიანეთო.

ჩვენი გულის პასუხი.

„ზურნის" მიმართულება „განქექილება *) გახლავთ. დიაღ, „განქექილება". როგორც სანიტარების ნაგავსა ჰქექავენ და ეძებენ შიგ ყოველ გვარ ბაცილებსა, ისე ჩვენც მთელი დედამიწის ზურგი გვინდა გავქექოთ და ვიპოვნოთ ყოველ გვარი ბაცილები, მიკრობები და ბაქტერიები. ეს „განქექილება", რასაკვირველია, ძლიერ ძნელი საქმეა, მაგრამ იმედი გვაქვს, ქედს არ მოვიხრით და შეძლების გვარად გავსწევთ მძიმე უღელს „განქექილებისას". „ზურნისთვის" შრომა უკვე აგვითქვეს ყველა დაწუნებულ პოეტებმა და ლიტერატორებმა. ჯერ-ჯერობით მოვიწვიეთ ახალგაზდა პოეტი, ქიზიყელი ბესიკი. იმედი გვაქვს, რომ „ზურნა"-ს სხვა პოეტებიც ბევრი გამოუჩნდება, რადგანაც, ღმერთმა გაუმარჯოს საქართველოს, სხვა რამე ბრძანეთ, თორემ პოეტები-კი ძლიერ ბევრი გვყავს და, როგორც სტატისტიკურ ცნობებით ვიცით, ყოველ წლივ ათასობით გვებადება. ვინც-კი ქართული წერა იცის, ყველასა ვსთხოვთ „ზურნის" თანამშრომლობას. ჩვენის გაზეთის რედაქცია ძლიერ გულ-კეთილია და არც ერთს „სტატიას" არ დასტოვებს უყურადღებოდ. ერთხელ-კი უკაცრავად. „ზურნაში" ვერც დაბეჭდილ წერილებში მივცემთ რაიმე ჯილდოს ავტორებსა და ვერც დაუბეჭდავში, რადგანაც დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენ თითონ ჯილდო-კი არა, კილვა-კიცხვის მეტი არა გვხვდებარა წილად. „აღსარებასა ვდებთ", უკაცრავათ, „აღთქმასა ვდებთ", უნდა გვეთქვა, რომ ჩვენს მიმართულებას, ე. ი. „განქექილებას" არასოდეს და არაფრის გულისათვის არ ვუღალატებთ. მაშ გაუმარჯოს ჩვენს გაზეთს—„ზურნას" და ჩვენს მიმართულებას—„განქექილებასა"!

*) „განქექილებითი მიმართულება—обличительное направленіе"-ა (იხილე თ. დ. ერისთავის ახალი კომედია „საზოგადო საქმე").

რედ.

—

**ფელეტონი**

ნატვრა.

„სიცოცხლე იმად არა ღირს,
კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა",
ასეთი შავი ფიქრები
მოაწვა ერთხელ ქართველსა:
რა ვართ, რა გვინდა, რა გვქვიან,
რა არის ჩვენი ვალია?
ახ, ის წყეული სად არის
ჩვენს დროში ნატვრის თვალია!
თუ ხელთ ვიგდებდი, იცოცხლეთ,
წამალს დავსდებდი ყველასა,
სამოთხედ გადავაქცევდი
ჩემს პატარა ქვეყანასა!
ჩაეძინა... მაგრამ ძილშიც
თითქოს ებრძოდა ჩვენებას,
იგივე ფიქრი საამო
არ აძლევდა მოსვენებას.
აგერ, სახემ გაუღიმა,
სიხარულის ნერწყსა ჰყლაპავს,
ცალი ხელი მოუკუმშავს
და მეორით პირჯვარს სახავს.
მოესიზმრა, ვითომც იყო
ადგილსა ერთსა უვალსა,
ჰპოვა მუნ ნატვრისა თვალი
და შაევედრა უფალსა:
ღმერთო, აწ ხომ აღმისრულებ,
ხელთა მაქვს ბედის თვალია:
გვედრებ პირკვლად ყოვლისა...
მომშორდეს ბანკის ვალია!
კვალად გთხოვ: ყველა უპყარი
შენ ფეხზედ წამოაყენე
და რაც კახეთში ღვინოა
ჩემს მარანში ჩააყენე,
ვიჯდე უზრუნველ ჩემს სახლში,
სუფრას მიშლიდენ ხელადა,
სუკის მწვადებსა მოსდევდეს
ზედი-ზედ სველი ხელადა,
სტუმარს, მოყვარეს ვიწვევდე,
ლხინი არ მაკლდეს წამიერ,
დილიდამ შუაღამემდის
გავძახდე „მრავალ-ჟამიერ".
სამშობლო-ღა?!—დაავიწყდა,
ქვეყანა ესე ფლიდია,
ქართველს თუ ბევრი ღვინო აქვს,
ყველა ფეხებზედ ჰკიდია!

ქიზიყელი ბესიკი

—

მომავალში. გამარჯვება ბოლოსა და ბოლოს ძლიერს დარჩება და აი ყოველის ღონისძიებით უნდა ვეცადოთ, ჩვენ ხელთ შემოვიკრიბოთ ის ძალა, რომელიც ათას გვარის სახით არსებობს და იჩენს თავს: ძალა გონებრივი, ძალა ზნეობრივი და ძალა ქონებრივი, რომელსაც ყურადღებას არ ვაქცევდით და ისეთის უგუნურებით უგულებელ ვყოფდით დღემდე.

ივერიელი

# ახალი ამბავი

⁂ გუშინ, 30 იანვარს, ივანე ივანეს ძე კერესელიძის გარდაცვალების მეორმოცე დღეს, დიდუბის ეკკლესიაში წირვა იყო და შემდეგ პანაშვიდი. სახლობის გარდა, ხუთიოდე გარეშე კაციც დაესწრო.

⁂ ხვალ, 1 თებერვალს, საღამოს $7^1/_2$ საათზე დანიშნულია მორიგი კრება კავკასიის სამკურნალო საზოგადოებისა; მკურნალი ბ-ნი ლუნკევიჩი აუხსნის კრებას, თუ როგორ ჩნდებიან ხოლერის „ბაცილები“ ადამიანის ნაწლევებში.

⁂ დღეს ტფილისის საკათედრო სიონის ტაძარში, შემდგომ საღამოს დიდის მწუხარისა, იქნება პარაკლისი და დაუჯდომელი ღვთის მშობლისა და აგრეთვე ქადაგება ქართულს ენაზედ.

⁂ ტფილისის დედათა მეორე გიმნაზიის დირექტორმა აუწყა ქალაქის გამგეობას, რომ ერთი ალაგია თავისუფალი ქალაქის სტიპენდიისა, და ამ დღეებში უნდა ამოირჩიოთო რომელიმე მოსწავლე ქალი კენჭის ყრით. დირექტორი-კი თავის მხრივ ურჩევს ქალაქის გამგეობას — თავისუფალ სტიპენდიაზე მიღებულ იქმნას გიმნაზიის მოსწავლე ქალი ს. კ—სა.

⁂ „ჯეჯილის“ რედაქციას მოუვიდა ბაქოელ ქართველთა შორის ესტატე ამაშუყელის მიერ შეკრებილი 40 მ. ბაქოელები სთხოვენ რედაქციას, ამ ფულით ჟურნალი „ჯეჯილი“ უგზავნეთ ქართულ სკოლებს თქვენის არჩევითაო.

⁂ რკინის გზათა უმაღლეს მთავრობამ პეტერბურგიდგან ბრძანება გამოუგზავნა ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობას შესახებ იმისა, რომ რკინის გზის ყველა მოხელეთ ყოველ გვარ თხოვნასთან ერთად უნდა წარადგინონ ორი მარკა 80 კ. ღირსებისა. ეს განკარგულება აუწყეს ყველა მოხელეთ.

⁂ გუშინ-წინ ტფილისის გუბერნატორმა გაუგზავნა ყველა მაზრის უფროსებს ბრძანება, დათბება თუ არა, შეუდექით ყველა ქალაქებისა, სოფლებისა და დაბების დაწმენდა-დასუფთავებასაო, და თქვენ მოქმედების შესახებ ყოველ ორ კვირაში ერთხელ სამკურნალო განყოფილებას მოხსენება გამოუგზავნეთო.

⁂ ახალქალაქის მაზრის მკურნალი იუწყება, რომ ახალქალაქსა, ს. ბოგდანოვკასა და ორლოვკაში ქუნთრუშა გაჩნდაო. ოფიციალურ ცნობებით, 15 იანვრამდე სოფ. ბოგდანოვკაში ავად იყო 31, გარდაიცვალა 3, მორჩა 18, დარჩა ავად 10. სოფ. ორლოვკაში ავად გახდა 12, გარდ. 2, მორჩა 5 და დარჩა ავად 5. ქ. ახალქალაქში ქუნთრუშით ავად გახდა 2. ს. გორელოში, სადაც უფრო ადრე გაჩნდა ეს სენი, ავად გახდა 82, გარდაიცვალა 19, მორჩა 52. 15 იანვარს ავად იყო 11. ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ახალქალაქის მაზრის მკურნალს, დაუყოვნებლივ გაემგზავრე იმ სოფლებში, სადაც ქუნთრუშა არისო, ყველა ღონისძიება მიიღე ამ სენის წინააღმდეგ და იმ დრომდე დარჩი იმ სოფლებში, ვიდრე ეს სენი სრულიად მოისპობაო.

⁂ წარსულს წელს, ხოლერობის დროს ტფილისის გუბერნიის სხვადასხვა სოფლებში მოქმედებდნენ სასანიტარო-სამკურნალო კომისიები ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ხარჯით. ერთი ამ კომისიათაგანი ბორჩალოს მაზრაშიაც იყო, ამა მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის გ. ი. ორბელიანის დახმარებით. ამ კომისიის ერთ წევრთაგან ჩვენ მივიღეთ იმის ანგარიში, თუ რამდენი გამხდარა ხოლერით ავად აღნიშნულ მაზრის საბოქაულოებში: თრიალეთისა, ეკატერინოფელდისა, ლორიისა და თვით ბორჩალოში. 1892 წელს ხოლერა გაჩნდა პირველად 25 ივნისს სოფ. იმერს, თრიალეთის საბოქაულოში, მთელს მაზრას მოედო და 1 ოქტომბრამდე გასტანა.

სოფ. წალკაში ამ დროს განმავლობაში ავად გამხდარა 816, გარდაცვლილა—430, მორჩენილა—386; ეკატერინოფელდის საბოქაულოში ავად გამხდარა 89, გარდაცვ.—63, მორჩენილა—26; გერმანელთა „კოლონია“ ეკატერინოფელდში ავად გამხდარა 55, გარდ.—19 და მორჩენილა—36 კაცი; ბორჩალოს და ლორიის საბოქაულოებში ავად გამხდარა 38, გარდ.—25, მორჩ.—13 და შულავერში ავად გამხდარა 6, გარდ,—4, მორჩ.—2 კაცი.—სულ ბორჩალოს მაზრაში წარსულ წლის ხოლერობას ავად გამხდარა 1,004—კაცი, გარდ.—541, მორჩ.—463 კაცი. მთელ მაზრაში გარდაცვლილა 50%.

⁂ პარასკევს, 29 იანვარს, კრება ჰქონდა ქალაქის საბჭოს. კვლავ თათბირი ჰქონდათ ხმოსნებს შესახებ ქალაქის საექიმო ნაწილის უკეთესად მოწყობისა. ხანგრძლივი ბაასი გაიმართა თითქმის ყოველისავე მუხლის წაკითხვაზე. კამათობა შეეხებოდა მხოლოდ სარედაქციო მხარეს ახალის წესდებისას. მთელი საღამო საბჭომ მოანდომა მხოლოდ ექვსის მუხლის განხილვას. კიდევ არის განსახილველი 87 მუხლი. წარსულ კრებაშიაც ექვსი მუხლი დამტკიცდა, ამ კრებამაც ექვსი და ამ სახით ორი კრება მოუნდა 12 მუხლსა. რადგან ეს თორმეტი მუხლი შეიცავს წესდებას შესახებ სასანიტარო ინსპექტორის მოვალეობისა და უფლებისას, საბჭომ დაადგინა, რათა დაევალოს ქალაქის გამგეობას, რომ ეხლავე შეუდგეს იმ ექიმის მოწვევას, რომელიც ღირსი იქმნება ხსენებულის ადგილისა, ე. ი. სასანიტარო ინსპექტორისა, რომელიც ზედამხედველი უნდა იქმნეს მთელის საექიმო ნაწილისა, რომელსაც ინახავს ქალაქი თავისის ხარჯით. უნდა მონახოს გამგეობამ რამდენიმე კანდიდატი და ამ ახლო ხანებში წარუდგინოს საბჭოს ამოსარჩევად და დასამტკიცებლად.

კრება რომ თავდებოდა, ქალაქს მოურავმა წინადადება მისცა საბჭოს, რომ სასანიტარო ექიმები დარჩნენ ქალაქის სამსახურში 1 მარტამდე, რადგან ამ დრომდის გამგეობას არ ექმნება საშუალება ახალის წესდების კვალადობაზე მოიწვიოს მუდმივი ექიმები. კრებამ ერთ-ხმად მიიღო წინადადება ქალაქის მოურავისა.

⁂ გუშინ ჩვენ შევატყობინეთ მკითხველთ, რომ ცხონებულის ეგორ იაგორიჩ ფრიდონოვის შეწირულ ფულიდგან თერთმეტი თუმანი და ოთხი მანეთი ერგო ქართველ გასათხოვარ ქალს ნინო კაციაშვილსაო. დღეს ჩვენ გვაცნობებენ, რომ მეორე ბედნიერი ქალი ყოფილა სომხის დერციკის ასული, ოცის წლისა, ლიზა დავრიშევისა, რომელმაც ამდენივე ფული გაიტანა ქალაქის გამგეობის კასსიდგან.

⁂ დედათა საავადმყოფოს განმგე დოქტორმა ისტამანოვმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას ანგარიში ამ საავადმყოფოს მოქმედებისა წარსულ წლის განმავლობაში. საავადმყოფო დაარსებულია სარჩენად უბედურ ქალთა, რომელთაც სჭირთ ვენერიული ავადმყოფობა. ანგარიშიდგანა სჩანს, რომ წლის განმავლობაში ურჩენია თავი 154 ავადმყოფ ქალსა, მათში 124 მორჩენილა, 30 ისევა წამლობს. ავადმყოფთა შორის 100 რუსის ქალი ყოფილა, 37 ქართველი, 10 სომეხი, 4 ურია, 2 თათარი და 1 გერმანელი. წლოვანობით 2 ბავშვია, 15 წლიდგან 25-მდე—107 ქალი, ხოლო 25-დგან 50 წლამდე—35 ქალი.

⁂ თელავი: აქ შესდგა ამხანაგობა, რომელსაც განუზრახავს სამუდამო სათეატრო დასი დაარსოს თელავში. მთავრობისაგან ნება-რთვა კიდეც მოსვლია. პირველი წარმოდგენა 31 იანვარს იქნება.

შესდგა კიდევ მეორე ამხანაგობა, რომელსაც განუზრახავს აქ წიგნის მაღაზია და სტამბა დაარსოს. ნებართვა ჯერ არ მიუღიათ.

საზოგადო წიგნთ-საცავს ეს ერთი თთვეა, არა გაზეთი არ მოსვლია, „ივერიის“ გარდა; წევრნი მეტად სწუხან და მიზეზი ვერ გაუგიათ. გაზეთების დასაკვეთი ფული ქრისტეშობისთთვეშივე გამოუგზავნიათ თურმე.

⁂ ახალ-სენაკი: იანვრის დამდეგს ქარებმა გაგვიჭირა საქმე და ცოტა ზარალი არ მოგვცა. მას უკან დარი გამოიცვალა, მაგრამ ბუნება მაინც ჰინჭყლიანობს: ხან წვიმა, ხან თოვლჭყაპი და ქარ-ბუქი თავს არ გვანებებს და მხიან დღეს დაგვანატრულა... ამ უამინდობის გამო ჩვენს ქუჩებში კაცს გავლა უძნელდება, საცა არა მგონია, მორევები სდგას ტლაპოსი. მეტადრე ღამ-ღამობით არის ჩვენი გაჭირვება. საზოგადო ცხოვრებაც მიბინარებულია. წარმოდგენების გამართვასაც ვერ ვახერხებთ. რამდენი ხანია ვსცდილობთ სენაკში დავაარსოთ „სამეგრელოს საჯარო სამკითხველო“, მაგრამ დღემდე ეს საზოგადო საქმე ვერ განხორციელდა. იანვარში ამ კეთილ საქმემ ძლივ-ძლივობით ფეხი აიდგა, მაგრამ ვაი ამისთანა ფეხის ადგმას: საზოგადო წყურვილს ვერ აკმაყოფილებს სრულიად. ან და როგორ უნდა დააკმაყოფილოს, როდესაც მხოლოდ ორი გაზეთია სამკითხველოში: „ივერია“ და „ახალი მიმოხილვა“, რომელიც მუქთად ეგზავნება სამკითხველოს და ყოველთვის იმასაც ვერ ჰნახავთ თავის ადგილას...

⁂ ქუთაისი: სუფსასა და ლანჩხუთ შუა საფოსტო მატარებელი, ორთქლმავალი და რამდენიმე ვაგონი, ლიან-

---

ნით გაანათონ და საქონის ხევზედ თუჯის ხიდი გადონ.

— სოფ. მაღაროდამ გვატყობინებენ: ეკკლესია სულ დავამთავრეთ, გვაკლია მხოლოდ: ქვა, კირი, აგური, ხე-ტყე, კალატოზი, დურგალი და კანკელი. მალე სკოლის შენობასაც დავიწყებთ.

დაბა და სოფელი.

ზუგდიდის მაზრა. როგორც შევიტყეთ, ბ-ნ აშორდიას უკვე დაუბეჭდავს სანსკრიტულ ასოებით ახალი წიგნი შემდეგის სათაურით: „მეგრელთა ლიტერატურა“. ამ წიგნში მოთავსებულია მეგრელ ლიტერატორთა საუკეთესო თხზულებანი, ადამის დროიდგან დაწყებული თვით ბ-ნ აშორდიას დრომდე. წიგნი აუარებელ გვერდს შეიცავს და ღირს ორი ბისტი.

შორაპან-ზესტაფონ-ყვირილა. ამა წლის პირველ იანვარს დიდის ამბით ვიდღესასწაულეთ მღვდელ-დეკანოზ-რედაქტორ-გამომცემლის დავით ღამბაშიძის იუბილეი. საიუბილეიო სადილზედ დ. ღამბაშიძემ წაიკითხა გაზეთ „მწყემსში“ დაბეჭდილი მეთაური წერილი—დ. ღამბაშიძისა და „ივერიაში“ დაბეჭდილი „სახელდახელო“—Senex-ისა. სადილზედ დამსწრე საზოგადოებამ სთქვა ახალი საგალობელი: „მწყემსო, ჰკარვიდე ღამბაშიძესა!“ სადილი კარგი იყო.

---

«ზურნის» დამაკვირდი.

I

ქორწინება არის ზღვა, რომლისთვისაც ჯერ კომპასი არ მოუგონიათ.

ჰეინე.

II

თუ ბედნიერება მოგჭარბდა, ცოლი შეირთე.

მეკლებურგი ანდაზა.

III

დედაკაცს მხოლოდ ერთი საშუალება აქვს, რომ გაგვაბედნიეროს და 30,000, რომ გაგვაუბედუროს.

ჰეინე.

IV

პირველი თთვე ქორწინების შემდეგ ტკბილია, ვითარცა თაფლი; დანარჩენები მწარე, როგორც ქინაქინა.

არაბული ანდაზა.

V

მუსიკა ქორწილში მაგონებს იმ მუსიკას, რომლის ხმაზედ ჯარის კაცნი საომარად ემზადებიან.

ჰეინე

VI

რაც ცოლს ეჯავრება, იმას ქმარი მის დღეში ვერ იგემებს.

რუსული ანდაზა.

VII

სამი დედაკაცი ბაზარს გაჰმართავს, შვიდი-კი—იარმუკას.

რუსული ანდაზა.

„ზურნის“ დეპეშა.

(საკუთარ აგენტებისაგან)

პარიჟი. პანამის საქმის დეზინფექცია და ვენტილიაცია უკვე გათავდა. სასამართლომ გადასწყვიტა: ეიფელმა 33 მილიონი ჩაჯიბა და ამ ფულიდგან რომ 20,000 ფრანკი ჯარიმა გადაიხადოს, აბა რა დააკლდებაო.

რომი. იტალიელები ძლიერ თავმოყვარე ხალხი ვართ და ფრანგებს აბა როგორ უნდა ჩამოვრჩეთ. ჩვენს სახელმწიფო ბანკშიაც პანამის საქმე აღმოჩნდა, ფული შემოგვეხარჯვა, მაგრამ რა გვიშავს. განა რა არის ფული? ხელის-ჭუჭყია, მეტი არაფერი!

---

## გასართობი

ლობიოს შესხმა

ჰოი, ყოვლად ნოყიერო, წითელფეროვანო, საამურო და დაუფასებელო ლობიო! დიდ არს ღვაწლი შენი წინაშე ერისა ქართველთასა, რამეთუ შენგან იზრდება და იკვებება უმეტეს სხვათა საზრდოთა შორის ყოველი ქართველი სიყრმიდგან, ვიდრე სიბერემდე. დიდ არს სახელი შენი ივერთა ქვეყანასა ზედა და განთქმულ არს სახელი ძლევა-მოსილობისა შენისა; ამისათვის ჩვენ ყოველნი, დადგრომილნი წინაშე შენსა კოვზითა და ციცხვითა, ველით აჩუხჩუხებასა და ამოზელასა შენსა, სასარგებლოდ ჩვენდა, და ხმითა დიდითა გიღაღადებთ: დიდება წინწკლებსა ჩუხჩუხისა შენისასა, დიდება სიწითლესა და გემოსა წვენისასა, დიდება ქოთანსა, რომელსა შინა დამკვიდრებულ ხარ, და ძირსა მისსა, რამეთუ იგი ტახტი არს შენისა ძლიერებისა და ნოყიერებისა, დიდება დანაყულსა ნიგოზსა შენსა, რამეთუ გვირვინი არს გემოვნებისა შენისა.

იორამ უძღომელაძე

---

## განცხადებანი

ვიწვევთ თანამშრომლებს გაზეთ „ზურნის“-თვის: პოეტებსა, ბელეტრისტებსა და კორესპონდენტებსა. ვისაც-კი ქართული ანბანი უსწავლია, ყველა გამოგვადგება.

—

ტფილისის შუშის ვაჭარნი ამით ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ შუშა ძლიერ გაკაძვირეთ. მიზეზი ის გახლავთ, რომ კახეთში რკინის გზის გაყვანის საქმეს თანავუგრძნობთ და ამ გზის ლიანდაგის შპალებისთვის ვინახავთ შუშასა. (1—1)

—

ჩემის შვილისთვის სადღაც და ვიღასაც ქართული უსწავლებია. ვიწვევ მასწავლებელს, რომ გადაავიწყებინოს. ჯილდოს არ დავიშურებ. ქართველი მამა.

(1000—1)

—

წელს შვიდი კრუხი დავსვით, ხუთმა ოც-ოცი წიწილა გამოჩეკა, დანარჩენთ თხუთმეტ-თხუთმეტი. მე და დარეჯანს ვერ გვიანგარიშნია, რამდენი ფრთა ქათამი გვყავს... ჰო, მართლა, ექვსიც ძერამ მოგვტაცა. ვეძებთ დახელოვნებულ ჩოთკის კაცს.

ქართველი მემამულე

(3—1)

რედაქტორები: კუპრია და ადიპო.

დაგს გადასცდა; ვაგონები დაშავდა; უბედურება არა მომხდარა-რა.

*** მცხეთა: 28 იანვარს მცხეთის ახლო საქონლის მატარებლის თხუთმეტი ვაგონი ლიანდაგს გადასცდა, ექვსი ვაგონი დაზიანდა; უბედურება არა მომხდარა-რა.

*** ტფილისის ღარიბთა სასარგებლოდ პოლიცმეისტერს მიუღია: ტფილისის მთავარ-მმართებლისაგან 1,000 მ., ნიკიფოროვისაგან 3 მ., „Т. Л.“-ის რედაქციის მიერ შეგროვილი 55 მ., ნ. ა. შტეიმანისაგან 10 მ, ე. კ. იანოვსკისაგან 15 მ., საოლქო საინტენდანტოს გამგეობისაგან 52 მ. 5 კ., მკურნალ კასპარიანცისაგან 10 მ., მელიქ-ადამაროვისაგან 50 მ., უცნობთაგან 35 მ. სულ 1,230 მ. და 55 კ.

სულ წინანდელი და ეხლანდელი 1,613 მ. და 41 კაპეიკია. ამ ფულიდგან 21—26 იანვრამდის უკვე დაურიგებიათ 737 მ.

*** ამ დღეებში დაიბეჭდა და დაურიგდა ხელის მომწერთ ამ წლის 1—2 ნომერი სამეურნეო გაზეთის „მეურნე“-სი; სხვა წერილთა შორის, ამ ნომერში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი სათავად-აზნაურო სკოლის შესახებ—ბ-ნ ყ—სი.

*** რადგანაც ტფილისში ხმები გავრცელდა, სომეხთა კანდიდატი პატრიარქობისა ხრიმიანი ავად არისო, გაზ. „არძაგანკის“ რედაქციამ მიჰმართა იერუსალიმის ეპისკოპოზს ხაპაიანს და სთხოვა, შეგვატყობინეთ, რამდენად მართალია ეს ხმებიო. ხაპაიანმა დეპეშით შეატყობინა „არძაგანკის“ რედაქციას, ამ ჟამად ხრიმიანი სრულიად კარგად არისო.

*** გაზ. „Рус. Вѣд.“-ში დაბეჭდილია ანგრიში იმ კრებისა, რომელიც ჰქონია ბუნების მეტყველების მოყვარულთა საანტროპოლოგიო განყოფილებას მოსკოვში. ამ კრებაზედ ბ-ნს შელგუნოვს წაუკითხავს ფრიად საყურადღებო რეფერატი იმის შესახებ, თუ რომელს ერს ეკუთვნიან ევროპიელნი მიკროკეფალნი. მიკროკეფალობა, როგორც ვიცით, ის არის, რომ სიცოცხლეში ყმაწვილის თავს მოგრძო სახეს აძლევენ განგებ; ქალა თავისა მაღლა დ უკან არის გაწეული, რის გამოც შუბლი შესამჩნევად არის შეკუმშული. ამისთანა თავის ქალა ბევრგან იპოვეს მეცნიერებმა ევროპაში, აგედვე მცხეთას, სამთავროს აკლდამებში. რეფერენტი ამტკიცებდა, რომ ეგ ჩვეულება ჰქონდათ წინად ალანებს (ოსებსაო) და იმათგან უნდა იყოს ყველგან გავრცელებულიო. კრებას დაესწრო პროფ. ანუჩინი და დიდად საყურადღებოდ თურმე მიიჩნია რეფერენტის აზრები და საბუთები. დასასრულ, კრებაზე წაიკითხა თვისი მოხსენება, სხვათა შორის, ი. ი. პანტიუხოვმა: ჩემი დაკვირვებანი ტფილისის მაზრის მკვიდრთა შესახებაო.

*** 29 იანვარს ველიამინოვის ქუჩაზე, კურდღელოვის დუქანში, პავლე პანოსოვი წაეჩხუბა და დანით დასჭრა იუხან-ოღლი. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს და იქვე გარდაიცვალა. დამნაშავეს დაეძებენ.

*** ამავე დღეს კოჯრის ქუჩაზე იპოვნეს ნასვამი და ცალ ფეხ მოტეხილი მიწაზე, დაგდებული ალბულაღის მცხოვრებელი გრიგოლ ნეფედოვი. ნეფედოვი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** 28 იანვარს ელისაბედის ქუჩაზე საატსაზოვს სადგურიდგან მოჰპარეს 30 მან. ღირებული კაცის ორი პალტო.

## ქუთაისის ქალაქის საბჭო

(წერილი ქუთაისიდამ)

(დასასრული *)

პატარა ხანს უკან კრება საბჭოსი კვლავ დაიწყო. საბჭომ მოისმინა მოხსენება მოურავისა მილით წყალის გამოყვანის შესახებ. მოურავმა სთქვა, ამას წინად ნება მომეცით დამეხარჯნა 200 მან. რომ გამოძიებულიყო, არის თუ არა ქუთაისის ახლო-მახლო საკმაო და სუფთა წყაროს წყლები, რომლის გამოყვანაც შესაძლებელი იყოს ქუთაისშიო. ეს საქმე ჩვენ მივანდეთ ბ-ნ ვ. გონენიძეს. იმან ქუთაისიდგან 12 ვერსის მანძილზე მოსძებნა კარგი ანკარა წყაროს წყლები და მასთან უხვად მომდინარეო. ჩვენ ამით არ დაგვიბოლოვებია საქმე. ჩვენ მივმართეთ ბ-ნ კონრადის, რომელმაც წყლის გამოყვანის საქმე ზედ-მიწევნით იცის და რომელმაც ტფილისს შეუდგინა საჭირო გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა წყლის გამოყვანისაო. მან მოგვწერა, თუ გნებავთ, მზადა ვარ ეგ საქმე ავიღო ამ პირობით: ჯერ გავიცნობთ იმ წყლების ვითარებას, დავანარიმანდებ (Нивелировка), როგორც წყლის წამომყვან აუზებს, ისე შიგ ქალაქში იმ ქუჩებს, რომელზედაც საჭიროდ დაინახავთ წყალის გაყვანას; შევადგენ გეგმას, ხარჯთ-აღრიცხვას და აღვნიშნავ უმთავრეს ალაგებს ნიშნებით. ყველა ამისათვის გთხოვთ სამას თუმანს. თუ მე მომანდობთ თვით წყლის გამოყვანასაც, ამ სამას თუმანს ჩავითვლი ჩემის შრომის საფასურად.

ისმის ლაპარაკი: იაფია, საჭიროა, მიეცეს!

დ. ბაქრაძე. ჯერ ეს უნდა გამოვიკვლიოთ, არის, თუ არა, აუცილებელი საჭიროება ჩვენის ქალაქისათვის, რომელსაც ათასი სხვა უფრო დიდი გასაჭირი აქვს, წყალის გამოყვანა; შეგვიძლია ეს საქმე ვიტვირთოთ, თუ არა, და მერე უნდა შევუდგეთ ამ საგნის გადაწყვეტას. ჩვენ რომ ეხლა ეს სამასი თუმანი გავიღოთ და მერე აღმოჩნდეს, რომ არ შეგვძლებია წყალის გამოყვანა, მაშინ ხომ გამოდგება, რომ ეს ფული მართლა წყალში გადაგვიყრია. საჭიროებაც არის და საჭიროებაც. ჯერ კაცმა იმ ნაირ საჭიროებას უნდა მოუაროს, ურომლისოდაც გაძლება არ შეუძლია, და მერე იმისთანას უნდა მოჰკიდოს ხელი, რომელიც უფრო ნებივრობისაგან წარმოსდგება. წყალის გამოყვანა ჩვენ მდგომარეობაში ნებივრობა იქნება.

მ. ქუთათელაძე. წყლის გამოყვანა ჩვენთვის აუცილებელი საჭიროებაა, აგიხსნით მაგალითად. აქ, ქუთაისში, ვილაც დიდ კაცებს და, როგორც ამბობენ, თვით მის უმაღლესობას ხელმწიფის შვილს უნდოდა მამული შეეძინა, რადგან მდებარეობით და ჰაერის სიკეთით ქუთაისი განთქმულია, მაგრამ მკურნალმა რემერტმა ეს აზრი არ მოიწონა აი რა მიზეზით: აღმოსავლეთის ძლიერ ქარების დროს ისეთი მტვერი დადგება ხოლმეო, რადგან ქუთაისში ქუჩები არ ირწყვის, რომ სულის მობრუნება სჭირსო. წარმოიდგინეთ, რამდენი იზარალა ამის გამო ქუთაისმა! ამ ნაირად ქუთაისი წინ-კი არ მიდის, უკან-უკან იწევს.

დ. აბდუშელიშვილი. მე მიკვირს, რომ ეჭვი დაიბადა წყალის საჭიროების გამო. ადამიანისათვის უმთავრესად სამი რამ არის საჭირო: საჭმელი, სასმელი და ჰაერი. სასმელში კიდევ პირველი ალაგი წყალს უკავია; როგორც უჰაეროდ ვერ გასძლებს კაცი, ისე ვერც უწყლოდ იცოცხლებს. რა სათქმელი უნდა იყოს სამასი თუმანი იმ ნაირ დიდის საქმის დასაწყებად, როგორიც არის კარგის წყლის გამოყვანა ქალაქისათვის.

დ. ნაზაროვი. ქუთაისი რომ უკან არ მიდის, ეს ნათლად სჩანს დღევანდელ საგნის განხილვით, რაც შეეხება წყლის გამოყვანის საჭიროებას, ამაზე დიდი ლაპარაკი საჭირო არ არის. წრევანდელმა ხოლერამ ხომ მაინც დაგვანახა, თუ რა არის ქალაქის მცხოვრებთათვის სუფთა და სადი წყალი. მეცნიერება ამტკიცებს, რომ უმთავრესი მიზეზი ბევრ სხვადა-სხვა სნეულების გავრცელებისა წყალია. შეიძლება, რომ ჯერ-ჯერობით ამ საქმეს მართლა ვერ მოვაბათ თავი, მაგრამ ეს იქმნება ერთი ნაბიჯი იმ დიდ საქმეში, რომელიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ყოველ კეთილ-განწყობილ ქალაქისათვის.

ქალაქის მოურავი. ჩემი და ჩემის ამხანაგების აზრი ეს გახლავთ. წყალის გამოყვანა ხალხის ჯანმრთელობისათვისაც და ქალაქის სისუფთავისთვისაც დიდად საჭიროა. ეხლა ეს, რასაკვრელია, ყველამ იცის და ბევრი განმარტება არ არის საჭირო. თუ თქვენ ამ საქმეს იმ თვალით უყურებთ, რომ წყალის გამოყვანა არ არის აუცილებელი საჭიროება, რასაკვირველია, მაშინ ამ ფულის დახარჯვა ფუჭი იქმნება, მაგრამ ჩვენის აზრით ამ თვალით არ უნდა შევჰხედოთ საქმეს. ამ ოც-და-ათის, ორმოცის წლის წინად, როცა ერთი სახლი მეორეს დიდის მანძილით ჰშორავდა, სახლებ შუა ბაღები იყო, მცხოვრებლებთა რიცხვი ერთი-ათად ნაკლები. მაშინ არც წყალი იყო ისე გაბინძურებული და სულის მობრუნებაც ადვილად შეეძლო კაცს ქალაქში, ეხლა-კი სულ სხვაა. რასაკვირველია, ეს საქმე მძიმე საქმეა, ჩვენის საკუთარის საშუალებით ვერ შევძლებთ მის განხორციელებას, მაგრამ რომელ ერთ ქალაქს დაუმთავრებია თავის საშუალებით ამ ნაირი დიდი საქმე—grands travaut-ს, რომ ეძახიან,—ამისათვის სესხის ნებასაც მოგვცემენ, რადგან საქმის სიდიდის გარდა აქ არის მოსალოდნელი შემოსავალიც.

მ. დარახველიძე. მე ბ-ნ ბაქრაძის აზრისა გახლავართ. ჩვენ ბავშვები არ გახლავართ, რომ ამდენის ჭკუის სწავლება გვეჭირვებოდეს...

მოურავი. გთხოვთ საქმეზე ილაპარაკოთ და პირადობას თავი დაანებოთ.

მ. დარახველიძე. წყალი რო საჭიროა, ყველამ ვიცით, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ქუთაისში კაცი უწყლოდ დამრჩვალიყოს. აქ მხოლოდ ისაა საკითხავი—შევიძლებთ დავამთავროთ ეს საქმე, თუ არა. თუ ამ ათსა და ოცს წელიწადში ვერას მოვახერხებთ, ამ საქმისათვის დახარჯული ფული დაკარგული იქნება და მერე კიდევაც რომ გამოჩნდეს ვინმე ამ საქმის აღმასრულებელი, შეიძლება ეს ჩვენი ნამუშავარი არც-კი გამოდგეს მისთვის. ჩვენა ვართ ოჯახის კაცები, ქალაქის საოჯახო საქმეების წარსამართავად დანიშნულნი, დ არ შეგვფერის ფულის ფანტვა მარტო იმისთვის, რომ ესა და ეს საქმე სანატრელი და საამურიაო. მე მგონია—ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა კიდევაც გავათავეთ და ეს სამასი თუმანი შიგ მოქცეული არ მინახავს. საიდამ აპირობთ ამ ხარჯის გაღებას?

ექიმი ხუჩინოვი. წყალის გამოყვანა რომ საჭიროა, ამაზე არ განვაგრძობ ლაპარაკს. მე მხოლოდ მინდა ვიკითხო: გაქვთ ქიმიურად გამოკვლეული ეგ წყალი, ვარგა თუ არა? თუ ეს გამოკვლევა არ წაუძღვა წინ ამ საქმეს, ისე არაფრის დაწყება არ შეიძლება.

ქალაქის მოურავი. რასაკვირველია, ეგ გვაქვს ჩვენ აზრად, სანამ რიგიანად არ იქნება გამოკვლეული წყალის სიავ-კარგე, მანამდის ჩვენ ვერავის ვერ შევეკვრით პირობით.

ქალაქის მოურავმა გამოაცხადა, რომ საგანი განხილვისა საკმაოდ გამოირკვაო, და დაეკითხა საბჭოს, დავამტკიცოთ, თუ არა, ეს ხარჯიო. საბჭოს დიდმა უმრავლესობამ ზემოხსენებული ხარჯი შეიწყნარა.

კ. ბ—ძე

*) იხ. „ივერია“ № 22.

## სწავლა-განათლების საქმე რუსეთში

ამ დღეებში ბ-ნმა ა. ნ. სტრანნოლიუბსკიმ პეტერბურგის წერა-კითხვის გამავრცელებელ კომიტეტს წაუკითხა თავისი მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორი იყო ამ უკანასკნელს 10—12 წლის განმავლობაში და ახლაც არის სახალხო განათლების საქმე რუსეთში. მოხსენებიდგან სჩანს, რომ 1880 წელს ევროპაში მდებარე რუსეთის გუბერნიებში, გარდა პოლშისა, ფინლიანდიისა და ოსტზეის გუბერნიებისა, სახალხო სასწავლებელი 18,230 იყო და მათში ორივე სქესის მოსწავლეთა რიცხვი—800 ათასი: ვაჟი—718 ათასი და ქალი—135 ათასი. 231 ოთხ-კუთხ ვერსის მანძილზე, 14 სოფელს ერთი სასწავლებელი ჰქონია და 100 მცხოვრებიდგან ვაჟი 12°/$_0$ და ქალი 2.2°/$_0$ სწავლობდა. ამ ნაირად 1880 წელს მთელ რუსეთის მცხოვრებთაგან თითოეულ ათასზე მხოლოდ 122 ვაჟმა და 12 ქალმა ისწავლა წერა-კითხვა. ამის შემდეგაც სწავლა-განათლებისა და წერა-კითხვის საქმე წინ არ წასულა რუსეთში. 1886 წელსა 195 ათას ჯარის-კაცთა შორის 145 ათასმა, ესე იგი 72°/$_0$-მა, წერა-კითხვა არ იცოდა; 1888 წლის გამოკვლევამ სახალხო განათლების საქმისამ აღმოაჩინა, რომ მთელ სახელმწიფოს ას-მილლიონ მცხოვრებთაგან მხოლოდ 13°/$_0$ სწავლობს სკოლებში. 1886 წელს წერა-კითხვის უცოდინარ ქალთა რიცხვი 95°/$_0$ იყო, ესე იგი ასიდგან მხოლოდ 5 ქალი სწავლობდა წერა-კითხვას. აი, რა მდგომარეობაშია სახალხო სწავლა-განათლების საქმე ჩვენს სამშობლოშიო, დასძენს ზემოდ მოყვანილ ცნობებს ბ-ნი სტრანნოლიუბკი. თუ ყოველ წელს, 3,250 სკოლა დაარსდა, მხოლოდ ამ შემთხვევაში 260 წლის შემდეგ ისწავლის რუსეთი წერა-კითხვასაო.

სტრანნოლიუბსკის მოხსენების შესახებ „С.-Петербург. Вѣдом.“ სწერს: „რუსეთის ერობანი შემოსავლის მხოლოდ ერთ მეხუთედ ნაწილს ხარჯავენ სახალხო განათლებისათვის; აუცილებლად საჭიროა, რომ უფრო გაცილებით მეტი დაიხარჯოს ამ საქმეზეო. მაგრამ ერობათა შემოსავალს-კი წლითი-წლობამდე არ ემატება, ამ შემოსავალს თანდათან აკლდება, რადგან ერობათა შემოსავალს აძლევს იგივე გლეხი, რომელსაც უამისოდაც დიდ ტვირთად აწევს სახაზინო გარდასახადიო. ამავე საგნის შესახებ გაზეთ „Русск. Вѣд.“-ში ვკითხულობთ: „პირველ-დაწყებითი სწავლა რომ გავრცელდეს რუსეთში, საჭიროა ხაზინამ უფრო მეტი ფული მოახმაროს სახალხო სკოლების საქმეს და ძირეულად შეიცვალოს ერობათა ხარჯის გაწერის საქმეო. „Недѣля“-ც უძღვნის წერილს ამ სამწუხარო მდგომარეობას. „ჩვენმა მეზობლებმაო, ამბობს გაზეთი,—რომელთაც მოისურვეს წერა-კითხვის ცოდნა, არა დაიშურეს-რა ამ საქმისათვის. მაგალითად, საფრანგეთმა იმოდენა ფული მოახმარა ამ საქმეს, იმდენი მსხვერპლი შესწირა სახალხო განათლებას, რომ ეჭვი არ არის, მალე მოჰფენს მთელს სახელმწიფოს სწავლა-განათლებას. რამდენად განათლებულია და დაწინაურებული რომელიმე სახელმწიფო, იმდენად გაფაციცებით მიისწრაფის სწავლა-განათლებისაკენ, თანდათან, ყოველ წლობით უმატებს იმ ფულს, რომელიც უამისოდაც დიდია და რომელიც სახალხო სკოლას ხმარდება. რუსეთში-კი, სტრანნოლიუბსკის სიტყვით, სახალხო განათლებისათვის 1886 წელს მხოლოდ $5^1/_2$ მილიონი მანათი დახარჯულა. აშკარაა, რომ რუსეთი სახალხო განათლების საქმეში არამც თუ განათლებულ ქვეყნებს ჩამორჩენია, არამედ ისეთს ქვეყნებსაც-კი, როგორიც არის, მაგალითად, იაპონია და ჩინეთი. ახლა შეადარეთ ერთმანეთს რუსეთი და ოსმალეთი და თქვენ დარწმუნდებით, რომ დაუძლურებული სახელმწიფოც-კი სჯობნის რუსეთს სწავლა-განათლების საქმეში. რუსეთში მოსწავლეთა რიცხვი 2,2°/$_0$-ია, ოსმალეთში-კი 2,6°/$_0$. ამ გვარად, რუსეთი წარმოადგენს ბუდეს უმეცრებისას“.

## წვრილი ამბავი

ნიტლბენში, ქალაქ გალლეს ახლო (გერმანიაში) ხოლერა გაჩენილა; ოფიციალურ ცნობებიდგან სჩანს, რომ 11 იანვარს 92 კაცი გამხდარა ხოლერით ავად და 33 გარდაცვლილა.

— ოფიციალურ ცნობებით მტკიცდება, რომ გერმანიის უნივერსიტეტებში ამ ჟამად რუსეთის 403 სტუდენტი სწავლობს.

— შვეციის მეფემ ოსკარმა გამოაცხადა, ოქროს მედალს მივცემთ ჯილდოთ იმ მეცნიერს, ვინც სანსკრიტულ ენის გრამატიკას გამოიკვლევს და ამ ენაზე დაწერს კარგს თხზულებასაო. მედალი მიეცემა ისეთს თხზულების ავტორს, რომელსაც მოიწონებს აღმოსავლეთ ენების მცოდნე მეცნიერთა კონგრესი; ეს კონგრესი მოხდება ქ. ჟენევას 1894 წელს.

— ამერიკის მდიდარ კაცის ვანდერბილდის შვილმა, გიორგი ვანდერბილტმა ერთს საზოგადოებას შესწირა თავისი

გალლერეია სურათებისა; გალლერეია 4 მილლიონ დოლლარადაა დაფასებული.

— ამას წინად მადრიდში გარდაიცვალა ისპანიელი პოეტი ზორილია. ზორილია დაიბადა 1817 წელს ვალადოლიდში და გაათავა უმაღლესი სასწავლებელი საიურისპრუდენციო ფაკულტეტზედ. ჯერ პატარ-პატარა ლექსებსა სწერდა, მერე დრამებისა და ტრაგედიების წერაც დაიწყო. სხვათა შორის შესანიშნავია იმისი „დონ-ჟუანი“. როდესაც ავსტრიის ერცჰერცოგი მაქსიმილიანი მექსიკის იმპერატორად გახდა, ზორილიაც თან გაჰყვა და იქ სასახლის მგოსნად ითვლებოდა. მაგრამ, როდესაც მაქსიმილიანი ტახტიდგან ჩამოაგდეს, ზორილია იძულებულ იყო მექსიკისათვის თავი დაენებებინა და მადრიდში გადასახლდა. იქ 1875 წელს აკადემიის წევრად ამოირჩიეს და 1879 წ. ისპანიის ერმა დიდის ალტაცებით აღიარა ზორილია ისპანიის სახელოვან პოეტად.

— პარიჟში შესდგა ახალი საზოგადოება ფრანგთა ბელეტრისტებისა. ამ დღეებში პირველი კრებაც ჰქონდათ და კომიტეტის წევრებად ამოირჩიეს ზოლა, ტუდუზი, მალი, მალო, შენში, ალეკსისი, პერრო, ტარბე და კაზი. ამ საზოგადოების წევრად მხოლოდ იმას მიიღებენ, ვისაც ოთხი რომანი მაინც დაუწერია. ჯერ სულ 79 ბელეტრისტია სხვა-და-სხვა „სკოლებისა“. საზოგადოების საგანი ბელეტრისტების მფარველობაა. კომიტეტის დანიშნულებაა— მოლაპარაკება წიგნის გამომცემლებთან, გადასწყვიტონ რომელ წიგნის რამდენი ცალი უნდა დაიბეჭდოს, ავტორებისათვის გონორარის დანიშვნა და სხვა.

— „Voltaire“-ში სხვათა შორის სწერია, რომ პარიჟში ერთი ქუჩაა, რომელსაც „პანამა“ ეწოდება. ამ ქუჩის მცხოვრებით უთხოვნიათ თურმე მთავრობისთვის, ქუჩას სახელი გამოუცვალეთ, რადგანაც ეს სახელი ჩვენ გვარცხვენს და ჩირგსა გვცხებსო.

## გასართობი

დიაღ, გასართობი და ახირებული ამბავი უნდა გაუწყოთ. ეს ამბავი განათლებულ ქვეყანაში მომხდარა, იმ ქვეყანაში, რომელსაც გერმანია ეწოდება. ეს ქვეყანა, როგორც მოგეხსენებათ, მარტო მეხვებით გაქეთებით არ არის განთქმული. ამ ქვეყანაში დაბადებულა ბევრი მეცნიერი და პოეტი. ხომ გაგიგონიათ დიდებული სახელები: შილლერი, გიოტე, ჰეინე და სხვა. მათ შორის ჰეინეს ძლიერ დიდი უბედურება სწვევია. რამდენისამე წლის წინად დიუსელდორფში, სწორედ იმ ქალაქში, სადაც ჰეინე დაიბადა, ხელის მოწერით ფული შეაგროვეს და გადასწყვიტეს, ამ ფულით ჰეინეს ძეგლი აუგოთო. დიუსელდორფის ქალაქის საბჭოსაც ეს აზრი დიდად მოეწონა და ხმოსნებმა ერთ ხმად აღიარეს: „აუგოთ, აუგოთ ძეგლი ჩვენს პოეტს ჰეინესაო“. ჩვენაო, ხმოსნებსა, განა პოეზიისა არა გაგვეგება რაო, ჩვენც გვიცემს ძარღვი პოეზიისაო, ჩვენც გვიყვარს პარნასიო, ერთის სიტყვით, თუმცა ერთის ქალაქის საბჭოს ხმოსნები ვართ, მაგრამ მთელ გერმანიას გვიყვარს და პოეტებს დიდ თაყვანსა ვცემთო დიდს, ამას სხვა დიდად დაუბრკოლებლად, გაიძახოდენ პოეზიის პატივისმცემელი ხმოსნები.

სა, ბატონებო, ძეგლის ასაგებად ქალაქში უფასოდ ადგილს დაგითმობთო. თქმა იყო ამისი და ასრულება. 1888 წელს ქალაქის საბჭომ მართლა გადასწყვიტა, ესა ქ ეს ადგილი დავუთმოთ საყვარელ პოეტის ძეგლსაო. განვლო დრომ. დიუსელდორფის მდინარემ ბევრი წყალი ჩაატარა. ქალაქის საბჭოს ხმოსნებმა დიდი ჭკუა მოიკრიბეს თავში, იფიქრეს, იფიქრეს და აი რა მოიფიქრეს: ჰეინეს ძეგლის აგება საჭირო არ არისო. ძლიერ ავჩქარდით, რომ ამ ძეგლისთვის უფასოდ ადგილი დაუთმეთო. ჰეინეს რომ მართლა ძეგლი აუგოთ, მთელი ქვეყანა განადგურდებაო, ხალხში აყალმაყალი ღ აურზაური მოხდებაო. იმიტომ რომ ჰეინე იყო პოეტი შფოთისა და განხეთქილებისაო. რად გვინდა, რომ ჩვენ ქალაქში განხეთქილება მოხდესო, არა, ჰეინე თავისთვის იყოს და ჩვენ ჩვენთვისაო. ძეგლს ნუღარ აუგებთო. ასე გადასწყვიტა ამ ჭკუა-დამჯდარმა და დარბაისელმა საბჭომ ქალაქ დიუსელდორფისამამ. ამ გარდაწყვეტილებას ჩვენც ვეთანხმებით. რა საჭიროა, თუ ღმერთი გრწამთ, ჰეინეს ძეგლი, არა სჯობიან, რომ ჰეინეს მაგივრად ძეგლი აუგონ თვით დარბაისელს ღ გონიერს საბჭოს ქ. დიუსელდორფისას?!

???

## დეპეშა

29 იანვარი

**პეტერბურგი.** გუშინ ბუხრის ემირი პეტერბურგიდგან გაემგზავრა.

ფინანსთა მინისტრმა ბრძანება მისცა სახელმწიფო ბანკს, რომ 1893 წლის 1 თებერვლიდამ 1 აგვისტომდე სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის მომგებიან გირავნობის ფურცლებში სესხად მისცენ ფული წლიურ 4%-ით, იმ პირობით-კი, რომ სესხი არ აღემატებოდეს 160 მანათს თითო გირავნობის ფურცელზედ 100 მან. ღირსებისას.

**ლონდონი.** 1 თებერვალს შეერთებულ შტატების ელჩმა გამოაცხადა, რომ გავაის დროებით მმართველობის თხოვნისა გამო სანდვიჩის კუნძულებს ჩვენ მფარველობას გავუწევთ, ვიდრე ამერიკის მმართველობისა და გავაის დეპუტაციის შორის მოლაპარაკება გათავდებაო.

**ნიუ-იორკი.** ამერიკის ხაზინაში ძლიერ დაცოტავდა ოქრო. ნიუ-იორკის ბანკებმა, რომელთაც ხაზინას უკვე ასესხეს 2 მილიონი დოლარი, კიდევ დაჰპირდნენ, ოქროს მოგცემთო.

**პარიჟი.** გაზეთები ამბობენ, სასამართლოს განაჩენი პანამის საქმის ადმინისტრატორთა შესახებ ძლიერ სასტიკია, განსაკუთრებით ფერდინანდ ლესეპსის შესახებ. „Figaro“ ითხოვს ფერდინანდ ლესეპსის პატიებას.

### პეტერბურგის ბირჟა, 29 იანვარი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ჩერვ-მანათიანი ოქრო . | $7\frac{3}{4}$ | 7,79 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | $155\frac{1}{4}$ | 156 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1,08 | 1,10 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | $242\frac{1}{2}$ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | $228\frac{3}{4}$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — „ | — „ | 196 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . . | $102\frac{3}{4}$ | — „ | — „ |
| 5%. . . . . . . | 100 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | $102\frac{3}{4}$ | — „ | — „ |
| 5%. . . . . . . | 100 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $99\frac{1}{4}$ | — „ | — „ |


## განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან**

ტფილისის ქალაქის გამგეობას შეუტყვია, რომ ზოგიერთნი მეთულუხენი და წყლის მზიდავნი უზიდავდნენ მცხოვრებთ წყალს და დაწესებულ ფასს-კი არართმევდნენ—$\frac{3}{4}$ კაპიკის ვედროზედ, არამედ მეტს. ამიტომ ქალაქის გამგეობა სთხოვს ბბ-ნ მოქალაქეთ, მიჰმართონ პირდაპირ ქალაქის მილის წყლის კანტორას ყოველ იმ შემთხვევაში, როცა შეჰნიშნონ მეთულუხეთა და წყლის მზიდველთა ბოროტ-მოქმედება.

(3—1)




**მიხეილის ბაღი**

(Михайловскій садъ)

მიხეილის ქუჩა, რკინის გზის მმართველობის პირდაპირ.

ვაუწყებ საზოგადოებას, რომ ჩემს ხელში გადმოვიდა ბუფეტი მიხეილის ბაღისა. ბუფეტი მშვენივრად არის მოწყობილი. სასმელები ყოველ გვარი გვაქვს. საუკეთესო მზარეული ამზადებს

**აზიურსა და ევროპიულს საჭმელებს**

მუდამ ახალ-ახალ სანოვაგისას. ღვინო კარგის ღირსებისა გვაქვს, ბოთლი 25 კაპ. დაწყებული. შეიძლება დაკვეთა დასახლში წაღება ორის თავის საჭმლისა თვეში 12 მანეთად.

ფასი ყველაფრისა ზომიერია

თამდები ვარ, რომ მოსამსახურენი ზრდილობიანად მოექცევიან ყველას.

ლავრენტი თოხაძე



**VÉRITABLE BÉNÉDICTINE**

(ნამდვილი ლიკიორი ბენიდიქტინი)

Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

უპირატესად საუკეთესო ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Étranger
A. Legrand aîné

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან, უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

**ი ყ ი დ ე ბ ა** საუკეთესო გასტრონომიის მაღაზიებში ღ ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.

**საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა**

„ურბენი“ (L'URBAINE)

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

1 იანვარს 1891 წელს საზოგადოებას ჰქონდა თანხად 72.000,000 ფრანკი

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ“-მა 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებს ვადიან გარდასახადისაგან და პოლისს-კი ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, ველიამინოვის ქუჩა, სახლი № 10, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(49—3)



**საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ივერია“**

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . . | 9 „ 50,, | 5 „ . . . . | 5 „ 50,, |
| 10 „ . . . . | 8 „ 75,, | 4 „ . . . . | 4 „ 75,, |
| 9 „ . . . . | 8 „ —,, | 3 „ . . . . | 3 „ 50,, |
| 8 „ . . . . | 7 „ 25,, | 2 „ . . . . | 2 „ 75,, |
| 7 „ . . . . | 6 „ 50,, | 1 „ . . . . | 1 „ 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთია შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე— 16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია მოთავსებულია: ჯუგაის, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკის სახლში, № 21.


Доз. ценз. Тифлисъ, 30-го Января 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.